პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ნოემბერი _____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ ნოემბრის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილის მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის ------ ნოემბრის
№ -------- განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და
სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტი-ფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე თათია თათელიშვილი	60001109839	ქალაქი ქუთაისი, ჟიული შარტავას ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით	ტროტუარი	6.30 კვ.მ.	03.01.24.256	630	კიბის უჯრედის განთავსებისათვის
2.	მოქალაქე ლელა ვარდოსანიძე	60001015385	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №11-ის ჩრდილოეთით	ტროტური	3.50 კვ.მ.	03.01.23.880	350	კიბის უჯრედის განთავსებისათვის
3.	მოქალაქე სოფიო ჭელიშვილი	60001042872	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №36-ის მიმდებარედ	ტროტუარი	2.50 კვ.მ.	03.01.24.836	250	კიბის უჯრედის განთავსებისათვის

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და
სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე თათია თათელიშვილის (05.09.2023 წ. №19/4423248247-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქი ქუთაისი, შარტავას ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების ნაწილის, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ლელა ვარდოსანიძის (27.09.2023 წ. №19/442327079-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის გამზირი N11-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების ნაწილის (ფართობით 3.50 კვ.მ.), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე სოფიო ჭელიშვილის (10.10.2023 წ. №19/4423283171-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, გამსახურდიას გამზირი №36-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების ნაწილის, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

ასევე, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილის მიერ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების განთავსებისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: თათია თათელიშვილის, ლელა ვარდოსანიძის და სოფიო ჭელიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი